№ 87 აპრილი 24, კვირა 1888 აპრილი 24, კვირა № 87

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 70
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 ქრისტე აღსდგა! 1877—1888

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მესესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 §-ის ძალით 14 მაისს ამა 1888 წ., დილის 10 საათზე, დანიშნულია საერთო კრება წევრთა ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1887 წ. განმავლობაში;

2) მოხსენება თეატრის გადაკეთებისა, ქარვასლის შეკეთებისა და აგრეთვე ყველა ამ ქარვასლაში ახლად გაკეთებულის შენობის თაობაზედ;

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთა აღრიცხვაზედ 1888 წლისათვის;

4) მოხსენება ბანკის მმართველობისა წმინდა მოგების თაობაზედ, რომლიდამაც 35% უნდა გადადებულ იქმნას საერთო საჭიროებისათვის.

5) მოხსენება იმ შემწეობის თაობაზედ, რომელიც უნდა აღმოეჩინოს ბანკში მოსამსახურეთა, ვინიცობაა ეს უკანასკნელნი ავადმყოფობამ დაიგდო.

6) არჩევანი ზედამხედველის კომიტეტის რვა წევრისა, რომელთაგანაც ა. ს. გამრეკელი, თ. ი. ი. ციციანოვი თავის თავად გავიდნენ და ბ-ნი დ. ქ. ყიფიანი, თ. დ. ი. ავალოვი, თ. რ. შ. ერისთავი, თ. რ. დ. ერისთავი, თ. რ. კ. ვაჩნაძე და თ. დ. ზ. ბარათაშვილი რიგით გადიან;

7) არჩევანი მმართველობის თავმჯდომარისა ნაცვლად თავ. ი. გ. ქავჭავაძისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობას;

8) არჩევანი დამფასებელის კომისიის თავ-მჯდომარისა ნაცვლად კ. ლ. ფურცელაძისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს კომისიის თავმჯდომარეობას. (5—3)

ტფილისი, 24 აპრილი

რა მოიტან ქვეყნად მკვდრეთით დღეს აღდგენილმა ძემან ღვთისა და კაცისამან? რა მოავლინა კაცთა ნათესავის სახსნელად და საცხოვნებლად? მან მოიტანა, მან მოავლინა „მართალი“, ესე იგი, მადლი და ჭეშმარიტება. „რჯული მოსესაგან მოეცა, ამბობს იოანე ნათლის-მცემელი: ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ქრისტეს მიერ იქმნა“.

რა არის იგი „მადლი და ჭეშმარიტება“, რომელსაც «მართალი» ჰქვიან და რომლის აღდგენასაც დღეს სიხარულით ჰკალობს მთელი ქრისტიანობა? „მართალი“ თვითვე გვამცნევს თავის თავსა. იგი გვეუბნება სახარების სიტყვით:

„მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება. მე ვარ პური ცხოვრებისა. რომელი მოვიდეს ჩემდა, არა ჰშიოდეს და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არა სადა სწყუროდეს. მე ვარ პური ცხოვრებისა. მამათა თქვენთა სჭამეს მანანაი უდაბნოსა და მოსწყდეს, მე ვარ პური, რომელი ზეცით, გარდამოჰხდა— უკეთუ ვინმე სჭამოს, არა მოჰკვდეს.

„მე ვარ ნათელი სოფლისა. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქვნდეს ნათელი ცხოვრებისა. მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი. დაადგერით თქვენ ჩემთანა და მე თქვენთანა. ვითარცა იგი ნასხლევსა ვერ ხელეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით, უკეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, აგრეთვე თქვენ, უკეთუ არა დადგრეთ ჩემთანა.

„ამას გეტყვით თქვენ, რათა სიხარული ჩემი თქვენთანა ეგოს და სიხარული თქვენი სავსებით იყოს. რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ. უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის.

„მშვიდობასა დაგიტევებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ. წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

„მართალი“ არის აღთქმა ურთიერთობისა, სიყვარულისა, ერთმანერთისათვის სულის დადებისა, ერთმანერთის შენდობით განკითხვისა. ეს არის ხსნა და ცხოვნება კაცთა ნათესავისა. ამის გარეშე ყოველივე ფუჭია, ყოველივე უქმია. „მართალს“ ერთად-ერთი მცნება აქვს, ერთად-ერთი კანონი:

„ყოველი რომელი გინდეს თქვენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა მიმართ“.

ამაშია მთელი არსება, მთელი ბუნება ყოვლად მხსნელის „მართალისა“, ამაშია თვითონ ცხოველმყოფელი „მართალი“. სხვა საწყაო არ არის „მართალის“ მიწყვისათვის, „მართალის“ ახსნისათვის, „მართალის“ ცოდნისა და გაგებისათვის. რაც გინდოდეს შენთვის, ის მოინდომე სხვისთვის და მთელი „მართალი“ აღსრულებული გექმნება. ძნელია ამისი ქმნა და მარტო ძნელად საქმნელია საქებ-სადიდებელი მოქმედისათვის. ვიწროა გზა „მართლისა“, მაგრამ მიჰყავს საცხოვნებლად, საცოცხლებლად. „მართალივე“ გვიბძანებს— „შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად“.

„მართალი“ კლდეა, რომელზედაც შესაძლისია მხოლოდ აგება და აშენება კაცთა ნათესავის ბედნიერებისა, სიხარულისა, შვებისა და ლხენისა ამიტომაც იგი უნდა უყვარდეს ყველას თავის თავზედ უფრო.

„რომელსა უყვარდეს მამა, ანუ დედა უფროს ჩემსა, ბრძანებს „მართალი“: არა არს იგი ჩემდა ღირს და რომელსა უყვარდეს ძე, ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და არ შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“.

„მართალი“ ერთად-ერთი უკვდავი წყაროა ცხოვრებისა და ვისაც ჰსურს დაეწაფოს ამ უკვდავ წყაროს ცხოვრებისას, მან უნდა დასთმოს ყოველისფერი და შეუდგეს მას. ყოვლად შემძლებელია „მართალი“. ბრმათა თვალს უხელს, ყრუთა სმენას აძლევს, მშიერს აძღევს, მწყურვალს ასმევს, შიშველს ჰმოსავს, საპყარსა, სნეულს ჰკურნებს, უბედურთ ნუგეშ-სცემს, ცოდვილთ მოწყალებით განიკითხავს და მტერთათვისაც-კი ჰლოცულობს. წყალობა ჰნებავს მას და არა მსხვერპლი, სინანული და არა მსჯავრი, მშვიდობა და არა შფოთი, სიყვარული და არა ძულება, ძმობა და არა მტრობა, სიცოცხლე და არა სიკვდილი.

იწამეთ და შეუდგეთ «მართალსა», რამეთუ იგი მართლა უკვდავი წყაროა კაცთა ცხოვრებისა და ყოვლად შემძლებელია ხსნად და ცხოვნებად კაცთა. ყოვლად შემძლებლობას „მართალისას“ — ამ ცხოვრების წყაროსას—ასე გვიხატავს ჩვენი დიდ-გონებიანი, სიტყვა-მოსწრებული სასიქადულო პოეტი, დ. გურამიშვილი:

ცხოვრების წყარომ დაჰშრიტა
ჯოჯოხეთის ცეცხლის ალები,
ზედ მიესხურა, დაჰშმოსა
ხორცითვე მკვდართა ძვლები,
ჩაუდგა სული უკვდავი,
მისცა აღდგომის მადლები,
ეშმაკთ დაულპო წერილი,
ადამს გადუწყდა ბალები.

ერთი ახალი ევროპიელი მწერალი თითქმის ამასვე ამბობს ქრისტეს მიერ მოვლინებულს „მართალზედ“.

„აღთქმამ მართალისამ და სიყვარულისამ, ამბობს იგი: დაარღვია საფლავი, კაცთა ბოროტებისა და კაცთა უმართლობისაგან გათხრილი; ბნელი გაანათა თავისის ნათელითა; შეიტკბო, შეიგრძნო სული ადამიანისა; იმის სინიდისს, იმის ფიქრს, იმის ძალღვს ჰშთაბერა თავისი დიდი და ძლიერი ღონე. სიტყვამ „მართალისამ“ სძლია ბოროტსა. იგი თვით ჯოჯოხეთში ჩავიდა ცოდვათაგან გამოსახსნელად“.

ესევე მწერალი მეორე ადგილას ასე ჰლაპარაკობს ქვეყნის ხსნად ქრისტეს მიერ მოძღვრებულს «მართალზედა»

„მართალი უკვდავია, ცოცხალია საუკუნოდ, დაუსრულებლად. იმას ვერა ღონე კაცთა ნათესავისა ვერ შეჰმუსრავს, თვითონ სიკვდილიც-კი უღონოა იმის წინაშე. „მართალი“ გასცეს, გამცემელი შეიმუსრა და „მართალი“-კი კვლავაც არის. იგი აწამეს და უვნებელი დარჩა. შეაგინეს და იგი-კი მაინც ჰლოცავდა მგინებელთა და შეუნდობდა. ეკლის გვირგვინი დაადგეს და იგი-კი მაინც ჰპრწყინავდა. მოაკვდინეს და იგი კვლავ აღსდგა მკვდრეთით. მომავლინებელი მისი ამაღლდა ცად და თვითონ იგი-კი დარჩა ქვეყნადაო!“

უფრო უკეთესად ჰგლოვობს კაცთა უმადურობას ჩვენი დ. გურამიშვილი, უფრო ცხოვლად გვიხატავს მას თუ,—როგორის მტრობით მოექცა კაცთა ნათესავი მისდა მაცხოვრად მოვლინებულს „მართალსა“:

ვაი რა კარგი სახინო
რა ავად მიგიხნიესო!
მაცხოვნებელი შენ მათი
სამწყემსდლად მიგიხნიესო.
ღვთის საიდუმლო გაგტეხეს,
გულშიც ვერ დაგიტიესო,
ოც-და-ათ ვერცხლად გაგყიდეს
იმაც-კი დანანიესო.
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი,
საბელი მოგასხიესო;

ფელეტონი

იესო ქრისტე

(ხალხური ლექსი, აპ. გოდერძიშვილის ჩაწერილი და გაგონილი ს. ქოდალაში.)

ზეცას ვიყავ, ნათლით ვიყავ,
ნათლისაგან დავისასხე;
ქვეყნად ვერვინ ვერა მცნობდა,
ადამის ძეს ჩავესახე.
მომესვია ყოვლგნით მარცხი,*)
უნდოდა რომ გავეღასხე,
მაგრამ ძალით მე გავჯობე,
ყოვლგნით ბრჭყალი მოვიმსხვე.
გავაჩინე მგალობლები,
სუცესს დავდე ჩემი სახე;
ჩემი გულის პასუხები
შავი თეთრზედ გამოვსახე.
ორი სახლი ავაშენე,
ერთი ტკბილი, ერთი მწარე;
მწარე სახლი დავაქციე,
მეოთხედი შავინახე.
შიგ დავსვი იროდი მეფე,
გაცნი, ძმისა მკვლელია;
გვერდთა იუდა მოვუსვი,
იესოს გამყიდველია.
დუღს კუპრი და თავს გადმოდის,
გარს ეკიდება გენია,
დედ-მამის მეუდიარეს
შიგ უდევს ენის წვერია.

◆◆

აღდგომა ძველ დროს

(სააღდგომო საუბარი)

ჯერ ისევ გამოჩენილი სტრაბონი ამბობდა, რომ ქართველებს მშვენიერი შენობები აქვთო. მართალიც არის. აქა-იქ დარჩენილს და შენახულს ძველს ტაძრებს რომ დააკვირდეთ, ადვილად შენიშნავთ, რომ ჩვენთა წინაპართა ჰქონიათ შნო, გემო, ლაზათი. ერთი მოგზაური ამბობს: საქართველოს ზოგიერთი ტაძარი ისე მშვენიერი და ტურფაა, რომ არც რომი და არც ათინა არ დაიწუნებდაო... ჩვენი დედა-ქალაქიც ყოველთვის მშვენიერი ყოფილა. მეათე საუკუნის მეისტორიე, სომეხი უხტანესი, აღტაცებაშია, როცა ტფილისს იხსენიებს,— ეს სატახტო ქალაქი მეტად საუცხოვოა, მშვენიერებააო. სპარსელებს ხომ პირველადვე ისე ძრიელ მოსწონდათ ტფილისი, ისე უყვარდათ ეს კეკლუცად მორთული ქალაქი, რომ სამეფო ქალაქს უწოდებდნენ,— ეს ქალაქი ისე ტურფაა, რომ სწორედ მეფეების საკადრისიაო. მაგრამ თქვენ, იქნება, აზიელებს არ დაუჯეროთ და ევროპიელ მოგზაურების მოწმობა მოიწადინოთ. მაშ მიჰყართეთ შარდენს, დელაპორტს. გადაათვალიერეთ იმათი მოგზაურობა: ერთიც და მეორეც გაკვირვებაში არის ჩვენის ქალაქის სიტურფისა და სიმშვენიერისაგან. დელაპორტს რომ დავუჯეროთ, მაშინდელი ტფილისი საფრანგეთის ბევრს დიდს ქალაქს დაშორებითა სჯობდა. მაგრამ ყველაზედ მშვენიერი მაშინდელს ტფილისში მეფის სასახლე იყო.

სწორედ იმ ალაგას, სადაც ეხლა სახელოსნო სკოლის პირდაპირ ორსართულიანი საეკკლესიო სახლია, ძველ დროს მეჩითი იდგა. იმ მეჩითში ლოცულობდნენ განგებ გათათრებული ქართველი მეფეები, რომელთაც მხოლოდ გარეგნობით სწამდათ მაჰმადიანობა და სულით და გულით-კი მამა-პაპის სარწმუნოება უყვარდათ. მეჩითის გასწვრივ, ქუჩის მეორე მხარეზედ, დიდი შენობა იყო, ნაღარახანა, სადაც მეფის სამხედრო მემუსიკეთა ხორო იმყოფებოდა. მეჩითსა და ნაღარახანას აერთებდა მშვენიერი კამარა, ალაყაფის კარების მგზავსად. კამარას ღამე ჰკეტავდნენ ხოლმე. გასცდებოდით თუ არა კამარას, სამეფო მოედანი იწყებოდა. მოედანი საკმაოდ მოზრდილი იყო, ხელის გულსავით სწორე, სუფთად ქვით მოკირწყლული და დაგებული. აქ, ამ მოედანზედ წვრთნიდნენ ცხენოსანს ჯარსა, აქ, მეფის დასწრებით, მოხდებოდა ხოლმე საჯარჯიშო ალლუმი. ათასი ცხენოსანი მხედარი თავისუფლად დაეტეოდა და მოთავსდებოდა მოედანზედ. მოედნის ცოტა იქით, აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის პირად, გამოჭიმული იყო მეფის სასახლე, რომელიც 1638 წ. როსტომ მეფემ ააშენა. ამ სასახლის უკანასკნელი მდგმური ბრძანდებოდა

ივერიის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი...

შემდეგ, როცა აღა-მაჰმად-ხანმა ტფილისი გააოხრა, მეფის მშვენიერი სასახლეც მიწასთან გაასწორა, მტვრად აქცია. ეხლა წარსულის მოყვარული ძლივს-ღა იპოვნის სასახლის საძირკველის თითო-ოროლა ნატამალსა.

სასახლის წინ, მოედანზედ, მარმარილოს შადრევანი ამოდიოდა. შადრევნის სვეტზედ ორი მარმარილოს ლომი იყო ამართული და ეს ლომები პირიდგან წყალს ისროდნენ. შადრევნისათვის წყაროს წყალი იყო მილებით გამოყვანილი წავკისიდგან. ამ წყლით ირწყვებოდა სასახლის წალკოტი. სასახლე იქ იდგა, სადაც ეხლა ეგზარხოსის სახლია. სასახლე სამ სართულიანი იყო. ძირის სართულს საყინულედ და სარდაფებად ჰხმარობდნენ, მეორე სართული სალაროს შეადგენდა. სალაროში ინახებოდა რაც-კი რამ ძვირფასი ნივთები და ავეჯეულება ჰქონდა მეფეს და იმის სახლეულობას. მე-

---

*) ბოროტი, განსაცდელი.

მაგრა შეგიკრეს ხელები,
უფალსა არა გთნიესო.
ავაზაკზედა გაგცვალეს,
ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს,
გაგლანძღეს, გაგათრიესო.
ფერხხილთა გიყარეს ლერწამი,
ნუნები აგატკიესო,
ყვრიმალს გცეს თვალებ-აკრულსა,
გკითხეს: ვინ გცემა, სთქვი, ესო?
ხელ-დაბანილთა მოლტით გცეს,
მსხვერპლს სისხლი შეურიესო;
დაგადგეს ეკლის გვირგვინი,
გოლგოთად მიგიწვიესო.
შესამოსელი გაგხადეს,
ქლამინდი მოგახვიესო;
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა
ლურსმანი გაგიწიესო.
მოგკლეს უბრალო, ბრალითა
ქვეყანა შეარყიესო,
მზე დანაბნელეს, მთვარეცა,
ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
ჯვარით გადმოგხსნეს, წაგრაგნეს,
ტილოში წაგახვიესო,
დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდნენ,
გარს მცველნი შემოგხვიესო.

ასე მოექცნენ იმ „მართალს“, რომელიც მოევლინა კაცთა ნათესავს ხსნად და ცხოვნებად. იგივე დიდ-გონებიანი და სიტყვა-მოსწრებული პოეტი ამ სახით ჰკვირობს კაცთა სიბოროტეს და უმადურობას «მართლის» მიმართ:

არ ვიცი, რად ჰქმნეს უგბილთა,—
ავი რა შეგაჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, ჰკურნევდი
კეთროვანს, წყალ-მანკიერსო,
ბრმას თვალთ უხელდი, ცის-ცისად
არჩენდი ეშმაკიერსო,
უტყვს ენას სძლევნიდი, ყრუს სმენას,
საპყართა სვლას მშვენიერსო.
ამის მეტს არას ეტყოდი:
ესვედით ღმერთს ზეციერსო,
მშვიდად სცხოვრობდით, ნუ უზამთ
ერთმანეთს თქვენ უდიერსო;
გაიკითხვედით გლახაკთა,
ასმევ-აჭმევდით მშიერსო...
რასაც კეთილს იქმთ, ღმერთი თქვენ
მოგაგებთ მის მაგიერსო.
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი
ხორციელს და სულიერსო,
ამის სანუქფოდ შენ მათა
სიკვდილსა შეგამთხვიესო.

აი ამასვე როგორ მოგვითხრობს ზემო ხსენებული ევროპიელი მწერალი,—საგულისხმოა შესადარებლად:

„გაისმა მისი (იესო ქრისტესი) ძლიერი სიტყვა მართალისა და სიყვარულისა და ბრმათ აეხილათ თვალნი, კეთროვანნი განიკურნენ. კაცნი უბრალონი სულითა და გულით შეუდგნენ დიდებულს მოძღვარს „მართალისას“... ჯვარ-აკიდებული და მის ქვეშ ტან-ჩადრეკილი, გვემული, ნერწყვული, შეგინებული, გაუპატიურებული ვიდოდა იგი ღვთივ მოვლინებული მახარობელი „მართალისა“ გოლგოთისზედ ჯვართ-საცმელად და წამებისათვის.

... განვლო მთელი იგი გზა წამებისა უდრტვინველად, შეურისხავად, მიუტევა მწამებელთა თვისთა, ჯვარ-ცმულ იქმნა ჯვარზედ ხელ-ფეხ დალურსმული, და მოჰკვდა წყურვილისაგან ლონე-მიხდილი და ეკლის გვირგვინით მოსილი... მოკვდა, რომ სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნოს და საფლავების შინადა ცხოვრება მიანიჭოს“.

შეამთხვიეს სიკვდილს ქვეყნის ხსნად მოვლინებული „მართალი“, მოჰკვდა იგი, მაგრამ კვლავ აღზდგა...

ქრისტე აღზდგა! აღზდგა მასთან ერთად „მართალიცა“. ვინ მიემთხვიოს, ვინ ეზიაროს, ვინ შეუდგეს „მართალსა“? «ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა»?

სულითა წრფელი, მშვიდი გულით
ფიქრით განწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი
ძმისა განკითხვად,
და სიყვარულით შეიწყალა
ცდომილი ვნებით...
ვინცა ამ სოფლის დიდებასა,
მზებრ მნათობსა,
მონებრ არ მისდევს, სცნობს რა მის შუქს
ფუჭ-წარმავალსა.
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით
ამცნო სიმართლე
და მას დაცემულს მისცა ხელი
და აღადგინა...*)

◆

ქრისტეს აღთქმა

მალე ორი ათასი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ქრისტიანე კაცობრიობა ყოველს წელიწადს დღესასწაულობს ქრისტე-ღმერთის აღდგომას და გაიძახის: „ქრისტე აღსდგა“, „ჭეშმარიტად აღსდგა!“ ყოველს წელიწადს, დღეს ქრისტეს აღდგომისას, კაცობრიობა, რომელიც მუდამ დღე ეწევა მძიმე უღელს ცხოვრებისას და სასო-წარკვეთილებას შეუპყრია, რომელსაც მრავალი დარდი, ფიქრი და სევდა გულს შემოსწოლია, ერთხელ მაინც რამდენისამე საათით გულიდგან ამოიყრის ჯავრსა და სასო-წარკვეთილებას, მიეცემა მაღალს, და წმინდა გრძნობას სიხარულისას და შვებისას. ამ დღეს გრძნობა-გონების ამაღლებისას, გულისა და აზრის განწმენდისას, ადამიანი იხსენიებს, რომ ამ ორის ათასის წლის წინად სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ტანჯული, გვემული და ჯვარცმული ქრისტე ღმერთი აღსდგა მკვდრეთით, რომ იმისმა სწავლა-მოძღვრებამ დათრგუნა ბოროტი, დალეწა ბორკილები, რომელთაც ხელ-ფეხი შეეკრათ ადამიანის აზრისა და გონებისათვის.

სად არის იმის მიზეზი, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ერთისა და იმავე გრძნობით ველოდებით დღეს ქრისტეს აღდგომისას? გარდა იმისა, რომ ამ დღეს ჩვენ ვიხსენიებთ აღდგომას ღვთისას, გამარჯვებას ჭეშმარიტის სარწმუნოებისას, რომელმაც კაცობრიობას მოანიჭა იმედი უკეთესის მერმისისა, ჩვენ ვდღესასწაულობთ აგრეთვე გამარჯვებას სიმართლისას. ქრისტე ღმერთმა გვასწავლა, რომ ყოველი მართალი გამარჯვებული არის მერმისში მაინც, რომ სიმართლისათვის ტანჯვა და წამება, სისხლითა და ცრემლით მორწყული ვენახი მართლისა, მშვენიერს ნაყოფს გამოისხამს, რომ ბოროტება თუმცა წამების გვირგვინს დაადგამს თავზე მართალსა და სასიკვდილოდაც გაიმეტებს ხოლმე, მაგრამ შემუსვრით-კი ვერ შეჰმუსრავს და სამაგიეროდ-კი თვითონვე განიფანტება და აიგვება დედამიწის ზურგიდგან. ქრისტემ გვიღაღადა, რომ ადამიანმა, რაკი სურს ჭეშმარიტებას ემსახუროს, რაკი სწამს იგი, არ უნდა დაერიდოს არც წამებას, არც გვემას, არც თხემის ადგილს, კისრად უნდა აიღოს ჯვარი თავისი, ასე შეუდგეს კეთილის სამსახურს და არ შეუდრკეს არც ძალ-მომრეობას და არც ხორციელ ძლევა-მოსილებას ბოროტებისას. ქრისტემ გვიღაღადა, რომ სიმართლე არა საჭიროებს თავისის გამარჯვებისათვის არც ძალადობას, არც თოფ-იარაღს, არც ადამიანთა დევნასა და ძულებას, რომ იმისი ძლიერება და ძლევა-მოსილება მისსავე ბუნებასა და არსებაშია. ქრისტემ გვასწავლა,—ბოროტება იმდენად უგულო და ბიწიერია, რომ თვით ძეს ღვთისას თავზე დაადგა გვირგვინი ეკლისა და ჯვარს აცვა, რომ თვით ღვთის სიტყვა და მოძღვრებაც წმინდა, უმანკო სისხლით უნდა მოერწყა ზღვას ბოროტებისას. ქრისტეს მაგალითი ჰმოწმობს ერთის მხრით ხორციელს ძლიერებას, უგულობას და უგუნურებას ბოროტებისას, რომელიც აგებულია ძალ-მომრეობასა და სისხლის ღვრაზე, მძულვარებასა და დაუნდობლობაზე; მეორეს მხრით გვიმტკიცებს ძლიერებას და თავ-დადებულობას მართლისას, რომელიც უარ-ჰყოფს მახვილსა და თოფ-იარაღსა.

მართლადაც, თვალს თუ გადაავლებთ კაცობრიობის ცხოვრებას, წარსულსა და აწმყოს, უსათუოდ დარწმუნდებით, რომ ყოველსავე კეთილს, ადამიანთა საბედნიერო საქმეს, მართალს აზრს, გამარჯვება მოუპოვებია ტანჯვითა და წამებითა, სისხლითა და ცრემლითა, რომ სვლა კაცობრიობისა წარმატების გზით ეკლით მოფენილია, სისხლით და ცრემლით მორწყულია; დარწმუნდებით, რომ ყოველს მქადაგებელს ჭეშმარიტებისა სულით უძლური და ხორცით ძლიერი ბოროტება გზაზედ გადაჰღობებია, დროებით დაუმარცხებია მართალი, მაგრამ ეს მართალი მერმისში მაინც ჰყვავებულა და ნუგეში და შვება მიუნიჭებია ყველა ტანჯულთა, დავრდომილთა და სიმართლის მეძიებელთათვის. აი, ამას ჰმოწმობს მაგალითი ქრისტესი...

ა. ნა—ლი

◆

კინტო

აღდგომა დღეს.

ქრისტე აღსდგა! იმისი მადლი შეგეწიოთ, ძმებოჯან! იცით ქრისტე რა, ან ვინ იყო? ვა, ვა, სული იყო რაღა თურმე, ბიჭო, სული! სხვებსავით-კი ნამარდი არ იყო. ისეთი სამოთხის ნუგბარი რამ იყო თურმე, რომ ძმაბიჭისთვის სიყმე რა არის, სიყმე, სიყმეს არ დაიშურებდა. ერთხელ თურმე ჩვენისთანა ბიჭს ქორწილი ჰქონდა. შუა ლხინში რომ არიან და ჯიხვები, ხელადები, ყანწები, კულები და აზარფეშები ართურმასა და მიჰკამალაყს გადადიან, ამ დროს, ბიჭებოჯან, თურმე ერთი «ნესჩასტია» არ მოუვიდათ... ღვინის კოლოტი დაცარიელდა. მაშინვე ყველანი თამადას მიეხვივნენ: ჰა, თამადავ, სუფრის მამა ხარ, შენ უნდა გვიშველო რამე! მაგრამ თამადა რას უშველიდა. ყველანი აქეთ-იქით ეცნენ, არ იციან უღვინოდ რა ჰქნან. ამ დროს შებრძანდა თურმე იესო ქრისტე ლოცვითა და კურთხევით, გადასწერა პირჯვარი ყველას, შეიტყო იმათი დარდი. მერე, ძმებოჯან, მოატანინა ექვსი რუმბი და მტკვრის წყლით გაავსებინა; ჯერ ეშმაკი დასწყევლა და შეაჩვენა, მერე სამჯერ პირჯვარი გადასწერა თურმე რუმბებს, ვენაცვალე ქრისტეში, და მტკვრის წყალი წითელ კახურ ღვინოდ გარდააქცია... მაშა... კახურ ღვინოდ, იესო ქრისტეს გეფიცებით!

ყველას სიკეთეს უშერებოდა თურმე ქრისტე, კაი კაცობის ჩახმახი იყო; იმის დროს ავი და ნამარდი კაცი სირცხვილით ქუჩაში თავს ვერა ჰყოფდა. ყველას უნდოდათ დაეჭირათ, მოეკლათ, ჯვარზე ეცვათ, რადგან ჩვენისთანა საწყალს ბიჭს ქომაგობას უწევდა. ისეთი მადლიანი იყო თურმე, რომ ბრმებს თვალებს უხელდა, კოჭლებს ფეხებს უმთელებდა, ქაჩლებს თმას ამოუყვანდა, კუტებს ფეხზედ წამოაყენებდა და ათას სხვა ამ გვარს სასწაულს და სიკეთეს სთესავდა. იმ ექიმებს-კი არა ჰგავნდა, ცხრა თვე რომ წამლით გაგხეთქავენ და მერე უზიარებლად ამოგართმევენ სულსა; არა, იესო ქრისტე ერთს შეუბერავდა, ისეთი მადლიანი იყო, და მკვდარს კაცს ფეხზედ დააყენებდა! იუდა ისკარიოტელი ვიყო, თუ ვსტყუოდე... ახლა, ბიჭებო-და, იუდა-კი იცით რა ჯეელი და ვინ იყო. ერთი ჯოჯოხეთის მაშხალა, ერთი ქრისტეს ფეხის მომჭმელი, ვირის თავ-ფეხა, მოუკუპრავი ტიკი, სახრჩობელას ბოძი, ჯორცხენას ალიკაპი, ვირის აბანოს „სტაროსტა“, ჯირგინის საწმენდელი ფეშტამალი, ქალამნის კალაპოტი, ყასაბხანის კუნძი, ერთი... ერთი... ისეთი ვირ-ეშმაკა, რომ მახათის გორაზე ჩამოსაკიდი რაღა, ვა! იესო ქრისტეს თორმეტი შეგირდი ჰყავნდა, რომელთაც ჭკუასა და მადლიანის საქმის გაკეთებას ასწავლიდა

ფე ირაკლის მეტად უყვარდა მდიდრულად ცხოვრება და, როგორც რუსეთის ელჩი იაზიკოვი ამბობს, ყველაფერში ნადირ-შაჰსა ჰბაძავდა... რასაკვირველია, სალაროც სავსე იყო ძვირფასის ნივთებითა. მშვენიერად და საამოდ იყო მორთული თვით სალაროც: მაღალი ჩუქურთმიანი თაღები, დიდრონი და ფართო ფანჯრები, თითქო პატარა ოთახია გამოკვეთილი კლდეშიო, და კედლები ფერადის ქვითა და მინით მორთული... ეს ფანჯრები, რომელთაც წინ გამწკრივებული ჰქონდათ სხვა-და-სხვა ხეხილი, გადასცქეროდნენ მტკვრის არემარეს... მესამე სართული, რომელშიაც ოც-და-თორმეტი ოთახი ითვლებოდა, მეფისა და მეფის სახლობის სადგურს შეადგენდა. ის დარბაზი, სადაც სტუმრებს მიიღებდნენ ხოლმე, დიდის ხელოვნებით იყო მორთული: ჭერი მოქარგული იყო საროთი (მოზაიკითა), დიდრონი სვეტები, დედა-ბოძნი მხატვრობითა და ოქროს ვარაყიანის სურათებით აკვირვებდნენ მნახველსა. აქეთ-იქით, ორსავე გვერდით, სასახლეს მიდგმული ჰქონდა ფრთედი (ფლიგელი) და თითო ფრთედში ოც-ოცი ოთახი ითვლებოდა მეფისა და დედოფლის ამალისათვის. დაუმატეთ ამას მშვენიერი ბაღი, საფრთოსნე, სადაც ყველა გვარი ფრინველი მოიპოვებოდა და ბევრი სხვა რამე, აი თუნდა კოპწია ოთახი ქორ-მიმინოს შესანახავად, მწევარ-მეძებრების სახლი, და თქვენ ცოტად მაინც წარმოიდგენთ იმ სურათს, რომლის სიმშვენიერეს ჩემი კალამი ვერ მისწვდება.

გამოვიდა წირვა, კამარა ღიაა; სამეფო მოედანზედ ჯარია გამწკრივებული; ნაღარის ხმა მოისმის; მეფე და დედოფალი სასახლისაკენ მიეშურებიან, მათ მოწიწებით, მაგრამ სიმხიარულით მისდევენ დიდებულნი. სად? რად?—სასახლეში „პირის ახსნელად!“.. აღდგომა დღეს წირვა ადრე გამოვიდოდა ხოლმე: «ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი»... პირიც აიხსნეს. მერე?—ყველანი მიესწრაფებოდნენ ასპარეზისაკენ... საჯირითოდ, საბურთაოდ. თქვენც გამომყევით, მკითხველო, და გაჩვენებთ ასპარეზსა, შემდეგში ყაბახად წოდებულს.

იასე მეფის სასახლის ზემოდ, იქ, სადაც ეხლა ალექსანდრეს სასეირნო ბაღია, წინად ასპარეზი იყო. მერე ასპარეზს სახელი გამოუცვალეს, ყაბახი დაარქვეს. ძველ დროს ყაბახს დიდი ადგილი ეჭირა, სამასი ადლი სიგრძე ჰქონდა და ორას ორმოცი სიგანე. ამოდენი ალაგი ყაბახისათვის იმიტომ იყო საჭირო, რომ აქ იმართებოდა ხოლმე აგრეთვე დიდი სამხედრო ვარჯიშობა და დოღი. ყაბახის თავსა და ბოლოს, ერთი-ერთმანეთის გასწვრივ, ორი მაღალი თალარი იდგა (თალარი პირამიდისაებ მოყვანილი სვეტია, ქვითკირის ბოძი). თალარის თავზე იდო ოქროს, ან ვერცხლის თასი, ანუ, როგორც თეიმურაზ მეფე ბრძანებს:

ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ,
ძვირფასის იყოს, კარგიო...

რასაკვირველია, მეფეც ყაბახზედ ბრძანდებოდა,—„გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა“. ხალხიც იქ იყო მოგროვებული. საუცხოოდ მოკაზმული ვაჟკაცობა, თითქო იერიშის მისატანად დამზადებული, საამოდ გაეფინებოდა ასპარეზზედ. მოგეხსენებათ, რომ ცხენოსნობა ქართველის ვაჟკაცის საქმეა. მეყაბახესაც გაწვრთნილი ტაიჭი უნდა ჰყოლოდა, კარგად დაკაზმული, და თითონაც ხომ მორთული უნდა ყოფილიყო.

ცხენს ისხდნენ კარგსა, დაკაზმულს
ბუშტით და ყუთაზითაო,
ვაჟკაცთა ეცვასთ კურტაკი [1]
ბრტყელისა ზორტებითაო.

აგერ დაკაზმულნი ტაიჭნი აღარ ითმენენ, გული ერჯით, თავში იწევენ. „ჭაბუკ-მხედარნიც, ვით ალვარგულნი, ცხენზედ უძრავად“ ნაღარის ხმას ელოდებიან. ჰკრეს ნაღარას.. აი სწორედ ეხლა მოსხლტა შეარდენებურ ვაჟკაცთა გუნდი:

დაუწყონ სროლა ყაბახსა
მათ ცხენის ჭენებითაო.

ძველს დროს ყაბახსა ყოდალს[2] ესროდნენ ხოლმე. ამიტომაც თვითეულს მეყაბახეს რამდენიმე ყოდალა ერჭო წელში:

მკლავზედ მშვილდი შემოიცვას,
წელს ყოდალა გაირჭოსა,
ცხენი შესძრას პირველ მშვილდსა,
მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს,
კილოს მაგრა დაზიდოსა...

რასაკვირველია, გამარჯვება იმისი იყო, ვინც ყოდალსა და ან ჯირითს მოარტყამდა ოქროს ვაშლს ანუ თასსა. მაგრამ ყაბახობა ერთსა და იმავე დროს სროლის ვარჯიშობაც იყო და ტაიჭთა დოღიც, ცხენების ჭენებაც. ამიტომ ვინც ყველაზედ მალე მივიდოდა ყაბახთან, ისიც გამარჯვებულებში ითვლებოდა; თუ ეს გამა-

---

*) გრ. ორბელიანის ლექსია.

[1] კურტაკი—მეომრის საჩინო სამოსელია.

[2] ყოდალი ერთ გვარი ისარია—სამფრთოსანი, უპირ-ფართო და წვერ მრგვალი. იხ. საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი. ბოლოს დროს ისრის მაგივრად ჯირითი შემოიღეს. ამიტომაც ახალის დროის პოეტი ამბობს:

„ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუდა ისკარიოტელიც,—უჰ, იმის ფათრეთი-კი დაიქცა, აჰაი,—იესო ქრისტეს შეგირდებში ერია. როცა ქრისტეს დაეძებდნენ და ვერ ეპოვნათ, მაშინ იუდას ფული აჩუქეს, „აჩიშჩენია“ გადააკვრევინეს რაღა, და იმან უჩვენა თურმე: აი, იესო ქრისტე ესა-და-ეს კაცია და თუ „ტრიცეტკა“ არაყს დამალევინებთ, რაც გინდა უყავით, მე რა მენაღვლებაო. იმათაც ჩააჩეთქეს თურმე არაყი და იესო ქრისტე-კი დაიჭირეს და ბოძზე გააკრეს; ხელ-ფეხი დაულურსმეს თურმე და სულ წვალებით სული ამოართვეს. მაგრამ ქრისტეს რა მოჰკლავდა, ღმერთი იყო, ვენაცვალე ქრისტე-ღმერთში; მესამე დღეზედ, როცა დაჰმარხეს და დიდი ქვა დაადეს, ეშინოდათ არ ამოვიდესო, ზეციდგან ფრთიანი ანგელოზები გადმოფრინდნენ თურმე კელეპტარით ხელში, ლოდი გადააგორეს საფლავიდგან და ცოცხალი ქრისტე-კი გამობრძანდა, ფეხზედ წამოდგა რაღა. მაშინვე კვერცხები შეღებეს და მიულოცეს თურმე ერთმანეთს ქრისტეს წამოდგომა. ურიები თურმე პირ-ქვე დაემხნენ და სირცხვილით მზეს ველარ უყურებდნენ იესო ქრისტეს წვალებისა და ტანჯვისათვის. მეორმოცე დღეს იესო ქრისტემ, რა-კი ისე აწყენინეს დედამიწაზე, ხელები გაჰშალა და მტრედისავით მაღლა-მაღლა წავიდა, პირდაპირ სამოთხეში. დღევანდელი დღე იესო ქრისტეს საფლავიდგან ადგომისა და იმის მტანჯველების პირ-ქვე დამხობის დღეა, ძმებო ჯან! ამიტომ არის, რომ ყველა ქრისტიანი-ძე ფეხზე წამომდგარა, პირი ღვთისაკენ მოუბრუნებია და ტარტაროზის ლოცვა-კურთხევისათვის თავი დაუნებებია. ვა, ვა, ერთი ქვეყანას შეხედეთ, ლოთებო, და!..

ალუბლის ხე წითლად შეკოკრებულა,
ცოცავს, დადის ზედ ლოთი ჭიანჭველა;
იაფერი ტურფად შესამებულა,
ფეხზედა ჰსდგას საჰყარი, გუტი,—ყველა!

—

ცა ვარსკვლავით მოჭედილა, კაშკაშებს,
შემოუკრავს ჩისტ-კოპად ცისარტყელა,
წყალთ ჩუხჩუხი დამწვარს გულს ანუგეშებს,—
ფეხზედა ჰსდგას საჰყარი, გუტი,—ყველა!

—

ორთაჭალის კარები გაღებულა,
იქ შეურილან საქუა, არაქელა...
ჭია-ფერად კვერცხი აგორებულა,—
ფეხზედა ჰსდგას საჰყარი, გუტი,—ყველა!

—

დამხობილა პირ-ქვე კაცი ნამარდი,
ვინც სხვას სტაცა, სხვის კერა დაანელა,
ტანჯულთ ტურფად გარდაშლიათ გულს ვარდი,
ფეხზედა ჰსდგას საჰყარი, გუტი,—ყველა!

—

გასცვეთია ღილა ბოროტებასა,
ობოლთ ცრემლით ქვეყანა დასველა,
ჰკმარა, აწ-კი გილოცავთ აღდგომასა!
ფეხზედა ჰსდგას საჰყარი, გუტი,--ყველა!

—

გაიშალეთ წელში, დატანჯულებო,
კმარა, რაც რომ მტერმა გვცარცვა და გაწველა,
გაიხედეთ, ძმა-ბიჭებო, სულებო:
ფეხზედა ჰსდგას საჰყარი, გუტი, — ყველა!

ორ-ანი

აღდგომის დღესასწაული საინგილოში.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდამ საინგილოში ლეკები გაძლიერდნენ. ლეკებს შემწეობას აძლევდნენ სპარსეთის ყეენები. ამავე ხელმწიფეებმა აღმოსავლეთ საინგილოში (ელისენში) ახლად დააწესეს ილისოს სასულთნო. დასავლეთ-ჩრდილოეთ მხარეს-კი დამოუკიდებელი, რესპუბლიკანური წესწყობილება შემოიღეს ლეკების რამდენსამე ადგილას დასახლებულ საზოგადოებაში, ასე რომ მე-XVII საუკ. დასაწყისიდამ თან-და-თან მთელი საინგილო (ძველი ცერეთი, წუქეთი და ელისენი) გამოვიდა კახეთის მეფეების გავლენიდამ, ინგილოები მაჰმადიანთა გაბატონების გამო დიდს განსაცდელში ჩაცვივდნენ. ლეკებმა გააუქმეს იმათი სამლოცველოები, საყდრები, მონასტრები, განდევნეს სამღვდელოება; ამასთან სცდილობდნენ ინგილოებს დაევიწყნათ ქრისტეს სარწმუნოებაც, ენაც, ეროვნული ჩვეულებანიც და სხვ. და სხვ. და ყველა ამის მაგიერ გაევრცელებინათ მაჰმადის რჯული, ადერბეჯანური ენა, თავიანთი ჩვეულებანი და სხვანი.

ინგილოები დაემორჩილნენ ძალას, გარეგნულად მიიღეს მაჰმადიანობა, საჯაროდ, სახალხოდ დაიწყეს ლაპარაკი ადერბეჯანურს ენაზე და სხვ. მაგრამ ყოველივე ესე გარეგნული იყო. და ინგილო არას დროს არა ყოფილა ჭეშმარიტი მაჰმადიანი და არც დაუვიწყნია თავისი ღვიძლი ენა. თუმცა ადერბეჯანურიც შეუსწავლიათ, მაგრამ ოჯახის საშინაო, სალაპარაკო ენა ყოველთვის ქართული იყო; გარეთ, მეჩითში, თუმცა ლოცულობდა მაჰმადს, მაგრამ თავის სახლში ადიდებდა ჭეშმარიტს ღმერთსა. ძალა აღმართსა ჰხნავს და რას იზამდა 15—17 ათასი სული ინგილო, რომელიც სოფელ-სოფელ განბნეული იყო ასისა და ორასის ვერსტის მანძილზე და რომლის გარეშემო ურიცხვი მოსისხლე მტერი ხმალ-ამოღებული ესახლა და ჰლამოდა, პირველსავე წინააღმდეგობაზე, გაეწყვიტა ეს უნუგეშოდ დარჩენილი ხალხი.

ამისდა მიუხედავად, ასე თუ ისე, ინგილოებმა დაიცვეს ანდერძნი და გარდმოცემანი ეკკლესიისა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ გარდმოცემათ მიუღიათ სულ თავისებური, გარემოებისაგან გამოწვეული, ხასიათი. აი ამის საბუთად გიამბობთ, თუ როგორ დღესასწაულობენ ინგილოები აღდგომას.

⁂

ამ დღესასწაულისათვის ინგილოები ვნების პარასკევიდამვე ემზადებიან. ამ დღეს წითელ კვერცხებით და სამარხო საჭმელ-სასმელით (მხოლოდ მამაკაცები) გადიან სასაფლაოზე, ასწორებენ ახლად განსვენებულთა საფლავებს; ერთად, ძმურად იხსენიებენ მკვდრების სულს, მერე ბურთაობენ და საღამოს ჟამს შინა ჰბრუნდებიან. შეღებილ კვერცხებს ინახავენ აღდგომისათვის. აღდგომის დღეს, მამლის ყივილისას, მთელი სახლობა იღვიძებს და პირს იხსნილებს ღორის ხორცით. გალეჭენ ერთს ნამცეცს ღორის ხორცს, გამოაფურთხებენ და თანაც იტყვიან: „ლეკო, დაგკეჩე!“ ამ სიტყვებს აღდგომის შემდეგ იმეორებენ მაშინაც, როდესაც პირველად დაინახავენ ლეკსა.

დილით ყველა სახლის წულნი იმოსებიან ახალ ტანისამოსით, თავს ერთად იყრიან და სახლის აღმოსავლეთ კუთხეში ანთებენ სანთლებს. იქვე დგას დიდი ხონჩა, რომელზედაც აწყვია სხვა-და-სხვა სახსნილო საჭმელები. იქ შევევედრებიან ღმერთსა და ქურმუხის საყდარს ამ სიტყვებით: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, გახსნილებას (აღდგომას) მუდამ დაგვასწარიო“.

შემდეგ პირის გახსნილებისა, ჰკლავენ სამღვთო ყოჩს, ბატკანს, ან ქათმებს (ვარიებს). მერე სხვა-და-სხვა საჭმელებს დაალაგებენ ხონჩაზე და მიდიან საგვარეულო საყდრებზე სალოცავად ეს საყდრები მაღალ ხეების ჯგუფია. ხშირად აქ სრულიად აღარც-კი ეტყობა კვალი ძველის შენობისა. ხეების ქვეშ სადმე დევს ქვა (ფშავ-ხევსურების ნიშის მგზავსი); აქ დაანთებენ სანთლებს, აკმევენ საკმეველს და შევევედრებიან ღმერთსა მხურვალედ. შემდეგ ამ საყდრებს დაუკლავენ სამღვთოს, ერთად ისამხრებენ ნათესავები და თავიანთ სახლებში წავლენ. სადილობის შემდეგ ნათესავები და ნაცნობები ერთმანეთს ულოცავენ აღდგომას. ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად!—აქ არ იციან ერთმანეთს აღდგომის ულოცავენ ამ სიტყვებით:

— მოგილოცავ გახსნილებას!

— მეც შენ მოგილოცავ. ღმერთმა მრავალ გახსნილებას დაგასწროს ყაუმ-ყარდაშით (ნათესავებით).

1850 წლიდგან ქრისტიანობა რომ მიიღეს ინგილოებმა, მაინც თავისი აღდგომის დღესასწაულობის წესები არ დაივიწყეს. ეხლაც მაჰმადიანად დაშთენილი ინგილოები შიგა-და-შიგ ასრულებენ ხსნებულ წესებს. ქრისტიანი ინგილოები, თუმცა ეკკლესიებში სალოცავად ბეჯითად დაიარებიან, მაგრამ ძველ წესებსაც წმინდად ასრულებენ.

მ. ჯანაშვილი

აღდგომა პოლშაში

უწინდელ დროში პოლშელებს საზოგადოდ უყვარდათ „ჭამა და სმა ფრიად მარგი“, როგორც იტყოდა ხოლმე ჩვენი პლატონ იოსელიანი. სხვა დროისას არას მოგახსენებთ და აი სააღდგომოდ-კი მართლა რომ საუცხოვო სასმელ-საჭმელების მომზადება სცოდნიათ. აი, მაგალითად, როგორ აგვიწერენ აღდგომის ნამზადისს გამოჩენილ პოლშელ კარის-კაცის საპეგას სახლში.

ერთს დიდ სტოლზე ზედ შუაზე იდვა მთლიანად ბატკანი, „ვითარცა კრავი ღვთისა“; ამ ბატკანს იგემებდნენ მხოლოდ დიდ-კაცის ქალნი, კარის-კაცნი და სამღვდელონი.

ბატკნის გარშემო იდვა ოთხი უშველებელი გარეული ტახი, მთლიანად შემწვარი. თვითეულ ტახს მუცელში ჩაწყობილი ჰქონდა ღორის ხორცი, მთლად გოჭი და ძეხვები. ოთხი ტახი მოასწავებდა ოთხს ცვლილებას წელიწადისას, ე. ი. გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას და ზამთარსა.

ტახებს მოსდევდა რიგზე თორმეტი ირემი, ოქროს ვარაყიან რქებით, და აგრეთვე მთლად შემწვარნი. ირმებიც სათითაოდ შეწყობილნი იყვნენ კურდღლებით და სხვა-და-სხვა გარეულ ფრინველებით. თორმეტი ირემი ჰნიშნავდა თორმეტს თთვეს.

ამის გარს მწკრივად ეწყო სამას სამოც-და-ხუთი პასქა, ე. ი. იმდენი, რამდენიც წელიწადში დღეა. თითო პასქა თითო საჟენის სიმაღლე იყო. ყველა პასქას გარშემო ეწყო კიდევ უთვალავი ნამცხვარი, ათას გვარად აჭრელებული და ნედლის ხილით შემკული. პასქებზე სხვა-და-სხვა ზედწარწერები იყო ჩართულის, გადახლართულის ასოებით. სტუმრები ამ წარწერების წაკითხვას, გამოცნობას უნდებოდნენ და ჭამას თითქმის ველარავინ ასწრებდა.

ამდენს საჭმელს სასმელებიც, რასაკვირველია, შესაფერად და საკმაოდ ექნებოდა. სასმელებიც იმავე რიგით და რიცხვით იყო ჩამომწკრივებული, როგორც საჭმელი.

ჯერ იდგა ოთხი ჩანახი, ძველის-ძველის ღვინოთი სავსე. მერე თორმეტი,—ვითომ, აგრეთვე, თორმეტი თთვე—ვერცხლის კულა, იმავე ღვინოთი გავსებული. ამას მოსდევდა ორმოც-და-თორმეტი ვერცხლის თუნგი, ე. ი. როგორც წელიწადში ორმოც-და-თორმეტი კვირაა. თუნგებში ისპანური, იტალიური და კვიპროსის ღვინოები იყო. შემდეგ ჩამწკრივებული იყო სამას სამოც-და-ხუთი ბოთლი ვენგრიის უკეთესის ღვინოთი. მდაბიო ხალხისათვის-კი ღვინის მაგიერ ტკბილი სასმელი იყო მომზადებული რვა ათას შვიდას სამოცი ბოთლი, ე. ი. იმდენი, რამდენიც წელიწადში საათია.

და ეს ამოდენა, აუარებელი ნამზადისი ორ სამ-დღეში უნდა შეეჭამათ და დაელიათ! ღმერთმა შეძლება მისცეთ! მაინც-კი უნდა ესთქვათ, რომ ძველს დროში პირის პატივი სცოდნიათ. განა დღეს-კი არ იციან, მაგ-

---

რჯვებული ოქროს ვაშლსაც მოარტყავდა, მაშინ ხომ უფრო საქებელი იქნებოდა. როგორც თეიმურაზ მეორის სიტყვებიდგანა სჩანს, „მისვლა“ ჰჯობდა „მორტყმას“—

ასრე უთქვამთ:
მისვლა ჰჯობსო
უფრო ჩამოგდებისაგან.
თუ ორივ ჰსწორის,
ხომ ისი სჯობს—
უფრო იქოს ბვერისაგან“...

სანამდე ყაბახზედ თასს არ მოარტყავდნენ, ჭენებისა და სროლის გათავება არ შეიძლებოდა.

სანამდის არ ჩამოაგდონ,
არ მოუშვნენ სროლისაგან...

როგორც მოვიხსენიეთ, თითონ მეფეც ყაბახზედ ბრძანდებოდა ხოლმე. ჩვენს დიდებულს მეფეებს, განთქმულ ვაჟკაცებს, ვაჟკაცური შექცევაც მეტად უყვარდათ. ყაბახი, ერთის მხრით, სამხედრო სკოლასაც შეადგენდა, აქ იწვრთნებოდა ახალგაზრდობა. მეფენი ხელს უწყობდნენ, ახალისებდნენ ამ „ქორ-შავარდენთა“ გუნდსა... მეფე აჯილდოვებდა გამარჯვებულს—

ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს,
მიართმევს მეფეს წინადა,
ფიცხლავ ჩაასხმევს ხალათსა
თავიდამ ფერხამდინადა...

როცა სროლა გათავდებოდა, დაიწყებდნენ ბურთაობას. მობურთალნიც ორად გაიყოფებოდნენ ხოლმე: ერთი მხარე პირველ თალარისაკენ დასდგებოდა, მეორე—იმის პირდაპირ. თითო მხარეზედ თორმეტი კაცი იდგა. ერთი-ერთმანეთზედ მეტ-ნაკლებობა რომ არ მომხდარიყო, წილითა და შედარებით ამოარჩევდნენ მობურთალთა:

ცხენს კაცსა შეადარებენ
წილისა მოღებითადა;
ორად გაჰყოფენ თვითოს მხარს,
თორმეტს იქმონენ კაცებსა...

იმ ადგილს, სადაც ბურთი უნდა მიეტანათ ჩოგანის ცემითა, მაყე ერქვა. მაყეებს ზედ გარდაშლილი ჰქონდა ფერადი ფარჩა და იქვე იდგა შარბათი—

ზედ გარდაშლიან ფერადსა
იქით და აქათ მაყებსა;
მათთვის სასმელად შარბათსა
თულუხით დაჰსდგმენ საგსებსა...

გამარჯვებას შეადგენდა ბურთის გატანა მაყესთან. გამარჯვებულს მხარეს კაცის თავზედ ფარჩა ეძლეოდა. გამარჯვებას დიდი სიხარული მოსდევდა:

ცხენს აჭენებდნენ, იძახდნენ—
მჯობი ვარ ამხანაგისა,
ჩვენ შევიქმნებით წითლისა
ფარჩით შემხვევი ჩოგნისა...

იყო ერთ გვარი ბურთაობაც, რომელსაც რადრაბაგანს ეძახდნენ—

«ბევრს-კი არა,
სამს-ოთხს კარგსა
მობურთალსა შეადარიან,
ოთხისათვის სათამაშოდ
ბურთი მიწას გააგდიან...

ამ რადრაბაგანს დიდი სიმარდე და სიმარჯვე უნდოდა: გაგორებული ბურთი ცხენოსანს მსწრაფლად უნდა აეღო ჩოგნითა და ცხენის თამაშობით მაღლა შეესროლა; როცა ბურთი ძირს დაეცემოდა და თავის თავად მაღლა შეხტებოდა, ხელ-ფიცხად უნდა შემოეკრა და მაღლა გაეტყორცნა... ბურთაობაც გათავდა.

მეფე და დიდებულნი დაბრუნდნენ სასახლეში. დაიწყო ნადიმობა, „პურობანი დიდნი“. მეფეებს უყვარდათ ნადიმობა, რატომაც არა!?—რაც-კი კარგი რამე სანოვაგეა, საქართველოში მოიპოვება. ტყუილად-კი არ ამბობს დელაპორტი, ეს მსოფლიო მოგზაური, რომ არსად არ შეიძლება კაცმა ისეთის სიამოვნებით იცხოვროს, სვას და სჭამოს, როგორც საქართველოშიო, აქაურის სანოვაგისთანა გემრიელი სხვაგან არსად მოიპოვებაო... მაგრამ აი იმისი საკუთარი სიტყვებიცა: „საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ცოტაოდენის ხარჯით ძალიან სასიამოვნოდ ატარებენ ცხოვრებას. ამ ქვეყანაში დიდ-ძალი პური მოდის, მწვანილეული და ხილი. პური და ხორცი ძალიან გემრიელი იცის, მეტადრე ნადირის ხორცი. კასპიის ზღვასა და მდინარე მტკვარში, რომელიც მთელს საქართველოს ჩაუდის თავიდგან ბოლომდე, ბლომად იჭერენ ზღვისა და მდინარის თევზეულობას. ღორის ხორციც აქ ძრიელ გემრიელია. გარეული ღორი ბევრი იცის და ამის ხორცი უფრო გემრიელია შინაურ ღორის ხორცზედ. ღვინო ხომ მეტად კარგია და ქვეყანაზედ ისეთი ხალხი არ არის, რომელიც ქართველებზედ მეტს ღვინოსა სვამდეს“. მოდი და ნუ იქეიფებ, ნადიმობას ნუ გასწევ ამ ღვთისაგან კურთხეულ და დალოცვილ ქვეყანაში!.. მაშ ეხლა ჩვენც, ჩემო მკითხველო, საუბარს თავი დავანებოთ და ნადიმობას შევუდგეთ.

ნ. ურბნელი

რამ, რას იზამ, რომ «ასეთს პირის პატივს» ადვილად პირს ვერ მოსწმენდავ?!

დონ-იაგ.

◆

დეპეშა

20 აპრილი

ბერლინი. ბიულეტენში, რომელიც დილის 9 საათზედ შეადგინეს, ნათქვამია, რომ იმპერატორმა ღამე კარგად გაატარა და ეხლაც კარგად არის; ციებამ უკლო.

სტამბოლი. აქ მცხოვრები სერბიელნი ძალიან აღელვებულნი არიან იმის გამო, რომ ბელგრადში სამინისტრო შეიცვალა და განზრახვა აქვთ მიჰმართონ მეფეს და თავიანთი უკმაყოფილება გამოუცხადონ ამ საგნის თაობაზედ.

ათინა. სტამბოლიდგან წერილები მოვიდა, ვითომ მსოფლიო პატრიარქს განზრახვა აქვს სინოდთან ერთად ღირსება აიხადოს, თუ ოსმალეთი მაკედონიაში გადაყენებულ მიტროპოლიტებს თავის თანამდებობასავე არ დაუბრუნებსო. პატრიარქმა გამოაცხადა, რომ ოსმალეთი ეკკლესიას ხელს უშლის, თავისი დანიშნულება აღასრულოსო.

ვენა. გაგიდგან ამბავი მოვიდა, რომ ჰოლანდიის მეფე ძალიან ავად არის და იმის მორჩენის იმედიც აღარა აქვთო.

პარიჟი. განახლებული მამულისმოყვარეთა საზოგადოება თხოულობს, რომ გერმანიასთან შეკრული სამშვიდობო პირობა გადავსინჯოთ და ამას გარდა ელზას-ლორენი გავანთავისუფლოთო

21 აპრილი

კატტა-ყურგანი. რაკი სამარყანდის რკინის გზის გაყვანას ამთავრებენ, ამიტომ ადგილობრივ ბამბის მომყვანთა განზრახვა აქვთ ერთიორად მეტი მიწა მოხნან შარშანდელზედ ბამბის მოსაყვანად. ჯერ-ჯერობით-კი მაინც ბამბა არსად დაუთესნიათ, რადგან განუწყვეტელი წვიმა მოდის და მეტად ცივი გაზაფხული დგას მთელს თურქესტანში.

პეტერბურგი. მართლდება ის ამბავი, რომ პასპორტების მაგიერ სხვაგან წამსვლელთ საპასპორტო წიგნები მიეცემათ ათის წლის ვადითაო. ამ საგანს სახელმწიფო საბჭო წრევანდელს სესიაში განიხილავს.

„Новости“ ამბობს, რომ პეტერბურგის სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების თავ-მჯდომარემ, გრაფმა იგნატიევმა, იკისრა ხელ-მძღვანელობა სამზადისისა, რათა ღირსეულად იდღესასწაულოს ცხრა-ასის წლის შესრულება რუსეთის ნათელ-ღებისა და გაქრისტიანებისა.

პარიჟი. დერულედი თავის წერილში «Temps»-ის მიმართ აცხადებს: რადგან შინაური მდგომარეობა საფრანგეთში ძალიან აშლილია და არეული, ამიტომ მამულის-მოყვარეთა საზოგადოება დროებით გარეშე პოლიტიკას თავს ანებებსო.

ბელგრადი. სერბიის ელჩითა მიმართ წარგზავნილ ცირკულიარში გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს მთავრობის პოლიტიკას და ამბობს, რომ მთავრობა ყველა დასთა გარეშე სდგას და ყველას ნებას აძლევს, რომ კანონიერის გზით იმოქმედონო. რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, მთავრობა ეცდება, რომ ყველა სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობა იქონიოს სერბიის ეროვნულ დამოუკიდებლობის სასარგებლოდაო.

სტამბოლი. კრიტის გუბერნატორად დანიშნულ იქმნა ნიკოლოკი-ეფენდი სართინსკი, რომელიც წინად ოსმალეთის საელჩოს მრჩეველი იყო პარიჟში.

ვენა. როგორც ეტყობა, სამინისტროს განზრახვა აქვს დაჰყვეს ჩეხების სურვილს და საერო განათლების მინისტრი გაუჩი გადააყენოს თანამდებობიდგან, რადგან ამ მინისტრმა ჩეხები მოიმდურა და ააღელვა სასწავლებელთა შესახების პროგრამის გამო.

ბერლინი. იმპერატრიცა წავიდა მდ. ელბის შესართავისაკენ რათა წყალდიდობის დროს დაზარალებული ადგილები დაათვალიეროს

22 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ სასიკვდილოდ გაცარცვეს დასჭრეს გულისათვის ქალბატონი მიკლუხა-მაკლაი, მამიდა სახელ განთქმულის მოგზაურისა. დასჭრეს აგრეთვე სასიკვდილოდ იმისი მოსამსახურე. თავი და თავი დამნაშავე, ვიღაც კოროლევი, შვილი მოკლულის წინანდელ მსახურისა, შეპყრობილ იქმნა თავის დედასთან ერთად; იმის თანაგამზრახველთაც ეძებენ.

ათინა. ოსმალეთი თავის ელჩს აღარ მიუწოდებს აქედამ. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ოსმალეთისა და საბერძნეთის უსიამოვნობა აღარ გამწვავდება.

რომი. კრისპიმ სთქვა პასუხად, როცა ჰკითხეს დეპუტატთა პალატაში, რა ურთიერთობა ჰსუფევს იტალიასა და საფრანგეთს შორისაო: „კავშირი გერმანიასთან და ავსტრიასთან იმიტომ შევკარით, რომ დაცული იყოს მშვიდობიანობა. ეს კავშირი ერთად სრულიად კავშირია იტალიისათვის, დიდად შესაბამი და სასარგებლო ხმელეთის მხრივ; ხოლო ზღვის მხრივ დიდად სასარგებლოა კავშირი ინგლისთან. მე მუდამ ვგრძნობდი, რომ ეს ორი კავშირი სასარგებლოა და საჭიროა იტალიისათვის. იტალია ისეა წამომდგარი და გაჩენილი, რომ უნდა უსათუოდ იცავდეს ეროვნებათა უფლებასა; იმ ორ კავშირს-კი აზრად ისა აქვს, რომ დაიცვას იტალიის მდგომარეობა მოულოდნელ შემთხვევათაგან. საფრანგეთთან ჩვენ კარგადა ვართ და იტალია არ მიემხრობა ისეთს პოლიტიკას, რომელსაც საფრანგეთის წინააღმდეგობა ექმნება აზრადა. ხმელთა-შუაზღვა იტალიის ტბა არ იქნება, მაგრამ ამასთანავე არც საფრანგეთის ტბა უნდა იყოს“.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აპრილი

	მყიდველნი. მან. კ.	გამყიდველნი. მან. კ.	გაყიდულნი. მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	9 63
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	191½
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	140 „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	262 „	— „	— „
—მეორისა	243 „	— „	— „
გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

◆

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 31 დღით არის.

24 დღე კვირა. წმ. აღდგომა ქრისტესი. კათოლ. აღდგომა ქრისტესი. სომეხ. აღდგომა (ზადიკი). მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—3. მთვარე 26 დღისაა.

25 დღე ორშაბათი. წმ. მოციქულისა და მახარებელის მარკოზისა. კათოლ. წმ. მარკოზისა. სომეხ. მერელოცი (გარდაცვალებულთა სულის მოხსენება). მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—4. მთვარე 27 დღისაა.

26 დღე სამშაბათი. წმ. წამებულ ვასილისა. კათოლ. ბარცელინასი. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაარსებულ იქმნა ტფილისში საჯარო წიგნთ-საცავი, 1880 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4-47, ჩადის 7—5. მთვარე 28 დღისაა.

29 დღე პარასკევი. წმ. წამებულთა კიზიკაში. კათოლ. პეტრესი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 ჰიჯრისა. 30 დღიანი მარხვა ეწყობათ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—8. დილის 12 საათსა 27 წუთზედ დაიბადება მთვარე.

30 დღე შაბათი. წმ. მოწ. იაკობისა კათოლ. ეკატერინესი მუსულ მე-2 რიცხვი თთვისა რამაზანისა. 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—9- მთვარე 2 დღისაა.

27 ოთხშაბათი. წმ. მოწ. სვიმონისა და სტეფანესი. კათოლ. ანასტასიასი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—6. მთვარე 29 დღისაა.

28 დღე ხუთშაბათი. მოციქ. იასონისა და ზინონისა .ათოლ. ვალერიანისა. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—39. მთვარე 30 დღისაა. ამ ღამეს ცაზე მთვარე არ გამოჩნდება.

განცხადებანი

ქუთაისში
მ. ი. ნიკოლაძის
მაღაზიაში მიღებულია და ისყიდება დიდ-ძალი აბრეშუმის სადა ბლონდები, აგრეთვე ნაქერი ჩიქილები აბრეშუმისა და ბამბის ძაფებით და დაბასმულებიცა.
(10—10)

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. .	3	»
„ 2 „	2½	„
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	3½	„
„ „ 3 „	3	
ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . .	5	„
მე-2 ხარისხისა . .	4	„
მე-3 — . . .	„	„
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9	„
„ 2 „	8	„
სუკი	16	„
ძროხის ხორცი . . .	12	„
ღორის ხორცი . . .	„	„
„ 2 „	„	„

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათი.	წამი.	საათი.	წამი.		საათი.	წამი.	საათი.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	49	ბათუმი . .	—	—	8	4
ავჭალა . .	9	9	9	11	ქობულეთი.	8	54	8	57
მცხეთა. . .	9	32	9	40	ნატანები. .	9	25	9	29
ქსანი . . .	10	03	10	05	სუფსა . . .	9	55	10	2
კასპი . . .	10	33	10	36	ლანჩხუთი .	10	35	10	39
გრაკალი . .	10	59	11	1	ნიგოითი .	10	51	10	53
გორი . . .	11	25	11	40	საჯავახო. .	11	14	11	16
ქარელი . .	12	08	12	11	**სამტრედია**.	11	33	11	51
გომი . . .	12	37	12	41	კოპიტნარი.	12	13	12	16
ხაშური . . .	1	02	1	17	**რიონი**. . .	12	47	1	2
სურამი. . .	1	29	1	32	აჯამეთი . .	1	15	1	18
ფონი . . .	2	—	2	03	**ყვირილა** . .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა . .	2	48	2	50
მარელისი .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი .	4	15	4	18	მარელისი .	3	47	3	49
ძირულა . .	4	45	4	48	**ბეჟათუბანი**.	4	18	4	37
ყვირილა. .	5	26	5	40	ფონი . . .	5	30	5	34
აჯამეთი . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	2	6	5
რიონი . .	6	29	6	44	**ხაშური** . .	6	17	6	32
კოპიტნარი .	7	08	7	10	გომი . . .	6	50	6	54
სამტრედია.	7	29	7	49	ქარელი . .	7	16	7	19
საჯავახო. .	8	05	8	07	**გორი** . . .	7	44	7	54
ნიგოითი. .	8	27	8	30	გრაკალი .	8	15	8	17
ლანჩხუთი .	8	42	8	46	კასპი . . .	8	40	8	43
სუფსა . . .	9	19	9	27	ქსანი. . . .	9	7	9	9
ნატანები. .	9	52	9	55	მცხეთა . .	9	28	9	34
ქობულეთი.	10	22	10	25	ავჭალა . .	9	52	9	54
ბათუმი . .	11	13	—	—	**ტფილისი** .	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	**ხაშური** . .	3	11	3	27
მცხეთა . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	**გორი** . . .	5	4	5	19
გრაკალი . .	6	—	6	3	გრაკალი . .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	31	6	45	კასპი . . .	6	18	6	24
ქარელი . .	7	18	7	24	ქსანი . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	58	8	1	მცხეთა. . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	54	8	38	ავჭალა . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

Доз. ценз. Тифлисъ, 23-го апрѣля 1888 года. Типографія „Кавк. Обозр.“ (Н. И. Френкель) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.